საქართველოს სსრ
მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი
კეთილმოწყობის სამმართველოს
გამწვანების მეურნეობის ტრესტი

ГРУЗИНСКАЯ ССР
ИСПОЛНИТЕЛЬНЫЙ КОМИТЕТ ТБИЛИССКОГО СОВЕТА ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ
ТРЕСТ ЗЕЛЕНОГО ХОЗЯЙСТВА УПРАВЛЕНИЕ БЛАГОУСТРОЙСТВА

ქ. თბილისი, ჯაფარიძის ქ. № 22 ტელეფონი 3-06-00
г. Тбилиси, Ул. Джапаридзе № 22, тел. 3-06-00

№ 681 „16" ივლისი 1968 წ. г.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის
მოადგილეს ამხ. ვ.ა. ჩ ო ფ ი კ ა შ ვ ი ლ ს

თბილისის საქალაქო საბჭოს გამწვანების მეურნეობის ტრესტი მოგახსენებთ, რომ დედაქალაქის მწვანე ნარგაობათა ობიექტები ორი ტიპისაა: დეკორატიული მებაღეობის მეთოდებით გაშენებული პარკები, ბაღები, ბულვარები, სკვერები, გაზონები და ქუჩის ნარგაობა და ქალაქისი ირგვლივ ფერდობები სატყეო საკულტურო ტიპის.

პირველს მიეკუთვნებიან საერთო სარგებლობის მწვანე ნარგაობა სადაც შექმნილია პირობები მოსახლეობის დასასვენებლად, მასიურ კულტურული ღონისძიებათა ჩასატარებლად, ხოლო მეორეს მიეკუთვნებიან არა საერთო სარგებლობის მწვანე ნარგაობა სატყეო საკულტურო ობიექტები, და დახურული ტიპის ბაღ-პარკები.

ქ. თბილისში მწვანე ნარგაობათა საერთო ფართობი შეადგენს 3866,5 ჰექტარს აქედან საერთო სარგებლობის ფართობია 906,9 ჰექ. საიდანაც 1-სულ მოსახლეზე მოდის 11-კვ.მ. მწვანე ნარგაობა, რაც ძლიერ მცირეა დაწესებულ ნორმის მიხედვით.

ქალაქმშენებლობის განვითარებასთან ერთად ახალ საცხოვრებელ მასივებში დაგეგმილი იყო რაიონული ბაღ-პარკების გაშენება კვარტალთა შორის ფართობებზე, სამწუხაროდ ეს ფართობები მშენებლობამ დაიკავა.

ამრიგად დღეისათვის არც ერთ საცხოვრებელ მასივში არაა არც პარკი არც ბაღი. თუმც აქ ჩატარებული იქნა შიდა კვარტალური გამწვანება მაგრამ ამ ტიპის გამწვანება პარკის ან ბაღის მაგივრობას ვერ გასწევს ვერც მიზნობრივად და ვერც ესთეტიკურად. ამასთან ერთად ქალაქის ძველ ნაწილში არსებული მწვანე ნარგაობათა ფართობები მცირეა და ისიც რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით საგრძნობლად იკვეცება.

ასლი

ამ უკანასკნელ წლებში ქალაქის ახალ მაგისტრალების და არსებულის რეკონსტრუქციის შედეგად გამწვანების სამუშაოები ცალ-მხრივი გახდა, რადგან იგი შემოიფარგლა ქუჩის ნ

ნებით, სკვერებით, ბულვარებით და შიდა კვარტალური გამწვანებით, რაც აუცილებლად ნორმალური არაა, ქალაქში უნდა გაშენდეს მნიშვნელოვანი ფართის პარკები და ბაღები.

საგულისხმოა, რომ ამ უკანასკნელ 10-წლის განმავლობაში არ გაშენებულა საქალაქო მნიშვნელობის არც ერთი პარკი ან ბაღი, თუმცა გასულ წელს გაშენდა მოსკოვის პროსპექტზე და ავჭალის გზატკეცილზე მაგრამ იგი რაიონული მნიშვნელობისაა. ქალაქ მშენებლობის პერსპექტიული დაგეგმარების ნორმები კი ითვალისწინებს პარკმშენებლობას იმ ვარაუდით, რომ თითოეულ სულ მოსახლეზე მოდიოდეს 20 კვ:მ. საერთო სარგებლობის მწვანე ნარგაობიდან. საჭიროა დაცული იყოს ეს ნორმები არა მარტო დაგეგმარების დროს არამედ მშენებლობის პერიოდშიც, რათა გამწვანებისათვის განკუთვნილი ფართობი მშენებლობამ არ დაიკავოს, რასაც ადგილი ქონდა გასულ წლებში.

იმ მოსაზრებით, რომ რამოდენიმე გავზარდოთ ბაღ-პარკების რაოდენობა ჩვენი აზრით მიზანშეწონილი იქნება იქ სადაც რელიეფი შესაძლებლობას იძლევა სატყეო საკულტურო ტიპის მწვანე მასივები გადავაქციოთ ბაღებად და პარკებად, რომ ისინი მოსახლეობის დასვენების და გართობისათვის მისაწვდომი გახდეს, მით უმეტეს არსებობს დიდხნოვანი ეფექტიური ნარგაობანი. რომლისათვის საჭიროა მხოლოდ პარკისათვის დამახასიათებელი ელემენტებით გამდიდრება. ასეთ პარკებად პირველ რიგში უნდა გადაკეთდეს მახათას სატყეო საკულტურო და ლისის ტბის ობიექტები, რომელთაგანაც პირველი 170 ჰექტარია და მეორე 40-ჰექტარი, ამ მწვანე მასივში უნდა მოეწყოს პარტერული ნაწილი, გზები, მოედნები, წყლის ქსელი, განათება და მთელი რიგი სხვა პარკის დამახასიათებელი ელემენტები, რითაც დედა ქალაქს შეემატება ორი პარკი.

ვფიქრობ, რომ დროულია ამ საქმეს მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, რისთვისაც გირდგენთ ჩვენს მოსაზრებებს განსახილველად.

გამწვანების მეურნეობის ტრესტის

მმართველი: ვ. [signature]

არქივი
ასლი